

**საქართველოს მთავრობის
დადგენილება №56
2015 წლის 12 თებერვალი ქ. თბილისი**

**„დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების
შესახებ**

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული მრავალწლიანი კულტურების გაშენების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“.

მუხლი 2

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს:

ა) „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დასაწყებად საჭირო რესურსის მოძიება საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში;

ბ) ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადებების საფუძველზე, უზრუნველყოს „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის დამტკიცებულ პროგრამულ კლასიფიკაციაში პროგრამული კოდის „დანერგე მომავალი“ დამატება.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 15 თებერვლიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“

მუხლი 1. პროგრამის მიზნები და ამოცანები

1. პროგრამის მიზნებს წარმოადგენს:

ა) საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ეფექტური გამოყენება მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;

ბ) ადგილობრივი მაღალხარისხიანი ფიტოსანიტარიულად სუფთა სარგავი მასალების (ნერგების) წარმოების მხარდაჭერა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება თანამედროვე ინტენსიური ბაღების გაშენებით დაინტერესებული პირებისათვის იმპორტირებულთან შედარებით იაფი სარგავი მასალების შეთავაზება. ეს ყოველივე კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოში ახალი ბაღების გაშენებას და მეხილეობის სექტორის რაოდენობრივ და თვისებრივ გაუმჯობესებას.

2. პროგრამის ამოცანებს წარმოადგენს:

- ა) თანამედროვე სტანდარტების მაღალხარისხიანი სანერგე მეურნეობის შექმნა;
- ბ) მრავალწლიანი კულტურების ახალი ბაღებისა და პლანტაციების გაშენება;
- გ) სანერგე მეურნეობების შექმნის, მრავალწლიანი კულტურების ბაღებისა და პლანტაციების გაშენების სტიმულირება ფინანსური დახმარების საშუალებით;
- დ) მეურნეობებისა და ბაღების შექმნის მსურველთათვის ტექნიკური დახმარების გაწევა.

მუხლი 2. პროგრამის კომპონენტები

1. მრავალწლიანი ბაღის გაშენებისა და სანერგე მეურნეობის მხარდაჭერის პირობების და პოტენციური ბენეფიციარების შესაბამისობის კრიტერიუმების განსხვავებულობებიდან გამომდინარე, თანადაფინანსება განხორციელდება ორი დამოუკიდებელი კომპონენტის ფარგლებში:

- ა) მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი;
- ბ) სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტი.

2. ამ პროგრამით განისაზღვრება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული კომპონენტებისათვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების პირობები.

3. პოტენციურ ბენეფიციარს შეუძლია, ისარგებლოს პროგრამის ორივე კომპონენტით დადგენილი წესებითა და პირობებით.

მუხლი 3. მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი

1. მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი (შემდგომში - ბაღების კომპონენტი) ითვალისწინებს მრავალწლიანი კულტურების ახალი ბაღების გასაშენებლად პოტენციური ბენეფიციარებისათვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევას.

2. მრავალწლიანი კულტურების ბაღების პოტენციალი და გაშენების შესაძლებლობა განსხვავდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, შესაბამისად, ამ პროგრამაში განსაზღვრულია იმ მრავალწლიანი კულტურების სახეობები, რომლებიც შესაძლებელია, გაშენდეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (დანართი №1 - მრავალწლიანი კულტურების სახეები საქართველოს რეგიონების მიხედვით).

3. ბაღების კომპონენტის ფარგლებში, შესაძლებელია, განხორციელდეს მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების თანადაფინანსება საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში, შემდეგი თვითმმართველი ქალაქების გარდა: ქ. თბილისი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი, ქ. ბათუმი, ქ. ფოთი.

მუხლი 4. ფინანსური დახმარება

1. ბაღების კომპონენტის ფარგლებში, ფინანსური დახმარება ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას

თანადაფინანსების სახით, როგორც მრავალწლიანი კულტურების ნერგების შექმნის მიზნით, ასევე, თანამედროვე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის მიზნით.

2. ბაღების კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების მაქსიმუმ 70%, როგორც ნერგების ადგილობრივ ბაზარზე შექმნისას, ასევე მათი იმპორტის შემთხვევაშიც. ამავდროულად, თითოეულ ნერგზე თანადაფინანსების მაქსიმალური ღირებულების ოდენობა დადგენილია დანართი №2-ის შესაბამისად. (26.08.2015 N 444)

3. ბაღების კომპონენტის ფარგლებში, დაფინანსდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა მისი ღირებულების მაქსიმუმ 50%-ით (დღგ-ის ჩათვლით), მაგრამ არა უმეტეს 2 500 ლარისა (დღგ-ის ჩათვლით) 1 - ჰა-ზე.

4. იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ბენეფიციარი ფლობს ნერგებს, გააჩნია საკუთარი სანერგე მეურნეობა ან საკუთარი მიზნებისათვის გამოჰყავს ნერგები, მას შეუძლია, მიიღოს მხოლოდ წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობისათვის თანადაფინანსება ამ მუხლის მე-3 პუნქტში დადგენილი ოდენობით.

4¹. იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ბენეფიციარი ფლობს წვეთოვან სარწყავ სისტემას, მას შეუძლია მიიღოს თანადაფინანსება მხოლოდ ბაღის გაშენებისთვის საჭირო ნერგების შესაძენად, ამ მუხლის მე-2 პუნქტში დადგენილი ოდენობით. წვეთოვანი სარწყავი სისტემის საკუთრებაში ფლობის ან/და ვარგისიანობის დამადასტურებელ დოკუმენტაციის ჩამონათვალს განსაზღვრავს სააგენტო. (26.08.2015 N 444)

5. პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, მრავალწლიანი ბაღის გაშენების შემდგომ, დამატებით გადაეცემათ საკუთრებაში საწამლი აპარატები.

6. ბაღების კომპონენტის ფარგლებში, ბენეფიციარებს აუნაზღაურდებათ ლაბორატორიული ანალიზის ჩატარების ღირებულება. ანაზღაურება განხორციელდება ბენეფიციარის მიერ ლაბორატორიული ანალიზის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე. ლაბორატორიული ანალიზის ღირებულების ანაზღაურების დეტალურ პროცედურას შეიმუშავებს ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. (8.04.2015 N 159)

მუხლი 5. შეზღუდვები

1. ბაღების კომპონენტის ფარგლებში, დაფინანსდება ერთი ბენეფიციარის მიერ არა უმეტეს 20 ჰა მრავალწლიანი კულტურის ბაღის გაშენება.

2. თანადაფინანსების მოცულობა 1 ჰა-ზე არ უნდა აღემატებოდეს 10 000 ლარს, თანადაფინანსების ზედა ზღვრის გაანგარიშებაში არ მოხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის დამატებით გადასაცემი საწამლი აპარატების ღირებულების გათვალისწინება.

2¹. ლურჯი მოცვის კულტურის გაშენების შემთხვევაში თანადაფინანსების მოცულობა 1 ჰა-ზე განისაზღვროს არა უმეტეს 15 000 ლარის ოდენობით. თანადაფინანსების ზედა ზღვრის გაანგარიშებაში არ მოხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის დამატებით გადასაცემი საწამლი აპარატების ღირებულების გათვალისწინება. (26.08.2015 N 444)

3. ერთ ბენეფიციარზე გამოყოფილი თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს, თანადაფინანსების ზედა ზღვრის გაანგარიშებაში არ

მოხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის დამატებით გადასაცემი საწამლი აპარატების ღირებულების გათვალისწინება.

4. ბალების კომპონენტის ფარგლებში, პირველ რიგში დაფინანსდება შესასყიდი ნერგების ღირებულების 70%, ხოლო თანხის დარჩენილი სხვაობიდან - წვეთოვანი სარწყავი სისტემა.

მუხლი 6. ტექნიკური დახმარება

1. ინტენსიური ბაღის მოვლისათვის აუცილებელი ცოდნით აღჭურვის მიზნით, იმ ბენეფიციარებს, რომლებიც მიიღებენ ფინანსურ დახმარებას, ჩაუტარდებათ ტრენინგები შემდეგ საკითხებში:

- ა) გაშენებულ ბაღში ნერგების გასხვლის ტექნოლოგიების პრაქტიკული სწავლება;
- ბ) მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის სისტემების დანერგვა - IPM;
- გ) ბაღის მორწყვისა და მცენარეთა კვების უზრუნველყოფის საკითხები.

2. ტრენინგებში მონაწილეობის მიღება წარმოადგენს ბენეფიციარის ვალდებულებას და აისახება ბენეფიციართან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში.

მუხლი 7. ბაღის კომპონენტის ბენეფიციარი

1. ბაღის კომპონენტის მიზნობრივ ბენეფიციარებს წარმოადგენენ სხვადასხვა მრავალწლიანი კულტურების ბაღების/პლანტაციების გაშენებით დაინტერესებული პირ(ებ)ი, რომლებიც შესაბამისი ფინანსური რესურსების სიმწირისა და უკუგების შედარებით ხანგრძლივი პერიოდის გამო ვერ ახერხებენ ახალი ფართობების ათვისებას.

2. ბენეფიციარი შეიძლება იყოს:

- ა) საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ან ინდივიდუალური მეწარმე;
- ბ) საქართველოში დაფუძნებული საწარმო, მათ შორის, რეგისტრირებული

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

3. ბაღის კომპონენტის ბენეფიციარი არ შეიძლება იყოს ისეთი საწარმო, რომელშიც პირდაპირ ან ირიბად სახელმწიფო ფლობს წილს, პაის, აქციებს.

მუხლი 8. ბენეფიციარის შესაბამისობის კრიტერიუმები

1. ბაღის კომპონენტით გათვალისწინებული ფინანსური და ტექნიკური დახმარების მისაღებად:

ა) ბენეფიციარი უნდა იყოს სრულწლოვანი;

ბ) ბენეფიციარი უნდა ფლობდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ერთი საკადასტრო კოდით მის საკუთრებად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს ან მას მიღებული უნდა ჰქონდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გრძელვადიანი იჯარით სახელმწიფოსაგან (იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 10 წელს, იჯარის ხელშეკრულება უნდა იყოს რეგისტრირებული სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში). ამასთან, შესაძლებელია, მომიჯნავე მიწის ნაკვეთები პოტენციურ ბენეფიციარს საკუთრებად ჰქონდეს რეგისტრირებული რამდენიმე საკადასტრო კოდით იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება მათი გაერთიანება გეოგრაფიული მდებარეობის ან/და სხვა ხელშემშლელი ფაქტორის გამო, კერძოდ: მომიჯნავე ნაკვეთებს შორის არსებობს ქარსაცავი ზოლი, არხი,

მაღალი ძაბვის გადამცემი სადენები და სხვა. ხელშემშლელი გარემოება უნდა დადასტურდეს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი გადაწყვეტილებით. მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე დაბრკოლების გარეშე უნდა ხდებოდეს წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა. (26.08.2015 N 444)

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული მოთხოვნა სახელმწიფოსთან საიჯარო ურთიერთობაზე არ მოქმედებს, თუ საქართველოს საპატრიარქოს მიერ პროექტში მონაწილეობის შემთხვევაში, საქართველოს საპატრიარქო დააფუძნებს საწარმო(ებ)ს, რომელსაც იგი საკუთრებაში ან გრძელვადიანი იჯარით (იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 10 წელს) გადასცემს კუთვნილ მიწის ნაკვეთს.

3. მიწის ნაკვეთის ფართობი, სადაც იგეგმება მრავალწლიანი კულტურის ბაღის მოწყობა, უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1 ჰა-ს. (26.08.2015 N 444)

4. ბენეფიციარს არ უნდა გაააჩნდეს დავალიანება სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიმართ.

5. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში - კოოპერატივში შემავალი წევრების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები უნდა იყოს მომიჯნავე და გააჩნდეს ერთიანი პერიმეტრი, რაც დადასტურებული უნდა იყოს საკადასტრო რუკით.

მუხლი 9. დაფინანსების მიღების წინაპირობები

1. მიწის ნაკვეთი, სადაც იგეგმება ბაღის გაშენება, უნდა იყოს დამუშავებული. მიწის ნაკვეთის დამუშავების კრიტერიუმებს შეიმუშავებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

2. მიწის ნაკვეთი უნდა იყოს უზრუნველყოფილი პერმანენტული წყლის წყაროთი, რაც გამოიხატება მიწის ნაკვეთის გარე პერიმეტრიდან მაქსიმუმ 500 მეტრის დაშორებით ტბის, მდინარის, მდინარის არხის არსებობით, ან მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე ჭის ან ჭაბურღილის არსებობით.

3. მიწის ნაკვეთს, სადაც იგეგმება ბაღის გაშენება, არ უნდა ედოს ყადაღა.

4. განაცხადით გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი კულტურების ნერგების 1 ჰა-ზე დასარგავი მინიმალური რაოდენობა (დანართი №4).

მუხლი 10. სხვა პირობები

1. ნერგის შექენა უნდა განხორციელდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შერჩეული ადგილობრივი კვალიფიციური სანერგე მეურნეობებიდან ან ნერგის იმპორტის გზით.

2. ადგილობრივი კვალიფიციური სანერგე მეურნეობების შერჩევა განხორციელდება ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ ინტერესთა საჯარო გამოხატვის გამოცხადების შედეგად მიღებული განაცხადების სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ სანერგე მეურნეობების შემოწმებისას მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. წვეთოვანი საირიგაციო სისტემის შექენა/მონტაჟი უნდა განხორციელდეს კვალიფიციური კომპანიებისაგან.

4. კვალიფიციური კომპანიების შერჩევა განხორციელდება სააგენტოს მიერ ინტერესთა საჯარო გამოხატვის გამოცხადების შედეგად მიღებული განაცხადების წინასწარ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების ქრილში დამუშავების შედეგად სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. საკვალიფიკაციო მოთხოვნებს შეიმუშავებს სააგენტო ცენტრთან ერთად.

5. ინტერესთა საჯარო გამოხატვა განხორციელდება ვებგვერდებზე - www.apma.ge, www.moa.ge, www.jobs.ge, www.hr.ge-ზე განცხადების გამოქვეყნების საშუალებით და მედიაში განცხადებების გამოქვეყნებით.

6. პროგრამის მიმდინარეობის პროცესში სააგენტო ყოველი სეზონისათვის განსაზღვრავს განაცხადების მიღების/თანადაფინანსების გაცემის ბოლო ვადას.

7. გურიაში, აჭარასა და სამეგრელოში ბალების გაშენება შესაძლებელია წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის გარეშე. ამ რეგიონებში წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის გარეშე ბალების გაშენება შესაძლებელია მხოლოდ თხილის კულტურით. ამ პუნქტის შესაბამისად გაშენებულ ბალებზე არ ვრცელდება ამ პროგრამის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა. (26.08.2015 N 444)

მუხლი 11. ბენეფიციარის მიერ დაფინანსების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია

ბენეფიციარმა დაფინანსების მისაღებად უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) შევსებული განაცხადის ფორმა;
- ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- გ) რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (კოოპერატივის შემთხვევაში);
- დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (იურიდიული პირის შემთხვევაში - დირექტორის/პასუხისმგებელი პირის; ფიზიკური პირის/ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში - ნაკვეთის მფლობელისა და პასუხისმგებელი პირის);
- ე) ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების არ- არსებობის შესახებ;
- ვ) ცენტრის მიერ გაცემული ცნობა განაცხადით გათვალისწინებული ყველა მრავალწლიანი კულტურისათვის ნაკვეთის ნიადაგის ვარგისიანობისა და შესაბამისობის შესახებ;
- ზ) მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა), იჯარის შემთხვევაში, ამონაწერთან ერთად წარდგენილი უნდა იყოს იჯარის ხელშეკრულება;
- თ) ცნობა მიწის ნაკვეთის დამუშავების შესახებ, გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. (8.04.2015 N 159)
- ი) ნერგების შესყიდვის ინვოისი ან/და ხელშეკრულება ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე, სადაც მითითებული უნდა იყოს:
 - ი.ა) ნერგების რაოდენობა;
 - ი.ბ) თითოეული ნერგის ფასი;
 - ი.გ) ჯამურად ნერგების ღირებულება;
 - ი.დ) ნერგის მახასიათებლები;
 - ი.ე) მიწოდების პირობები;

ი.ვ) გამყიდველის საბანკო რეკვიზიტები;

კ) შესასყიდი სარწყავი სისტემის (წვეთოვანი ირიგაცია, სპრინკლერ-ირიგაცია) ინვოისები ან ხელშეკრულება ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე;

ლ) პოტენციური ბენეფიციარის მიერ საკუთარი ნერგების გაშენების შემთხვევაში, ცენტრის მიერ გაცემული ცნობა ნერგების/ბენეფიციარის სანერგე მეურნეობის კვალიფიციურობის შესახებ;

მ) თანამონაწილეობის თანხის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ;

ნ) ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები.

მუხლი 12. თანადაფინანსების გაცემის პროცედურები

1. პოტენციური ბენეფიციარები ავსებენ განაცხადის სტანდარტულ ფორმას დაფინანსების მიღებაზე.

2. პოტენციური ბენეფიციარები წარადგენენ სააგენტოში მე-11 მუხლში მითითებულ დოკუმენტაციას.

3. სააგენტო განიხილავს წარდგენილ განაცხადს თანმდევ დოკუმენტაციასთან ერთად.

4. წარდგენილი დოკუმენტაციის ბალების კომპონენტის პირობებთან შესაბამისობისა და პოტენციური ბენეფიციარის მიერ შესაბამისობის კრიტერიუმებისა და დაფინანსების გაცემის წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სააგენტო უკავშირდება პოტენციურ ბენეფიციარს და აფორმებს მასთან ხელშეკრულებას დაფინანსების შესახებ (შემდგომში - ხელშეკრულება).

5. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ბენეფიციარი ვალდებულია, გადარიცხოს ნერგების და წვეთოვანი სარწყავი სისტემების მიმწოდებლის, სააგენტოში წარდგენილ ინვოისებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე საკუთარი/მოზიდული ფულადი სახსრები:

ა) ნერგების შემთხვევაში - სააგენტოში წარდგენილ ინვოისში მითითებული ჯამური თანხის არანაკლებ 30% (ოცდაათი პროცენტი);

ბ) წვეთოვანი სარწყავი სისტემის შემთხვევაში - სააგენტოში წარდგენილ ინვოისში მითითებული ჯამური თანხის არანაკლებ 50% (ორმოცდაათი პროცენტი).

6. ბენეფიციარმა გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარადგინოს სააგენტოში, რის შემდეგაც სააგენტო უზრუნველყოფს ბენეფიციარის საბანკო ანგარიშზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვას.

7. სააგენტოს მიერ პოტენციური ბენეფიციარის განაცხადის უარყოფის შემთხვევაში, სააგენტო აცნობებს ბენეფიციარს წერილობით განაცხადის უარყოფის მიზეზებს, მის მიერ განაცხადის ფორმაში მითითებულ საკონტაქტო მისამართზე წერილის გაგზავნის საშუალებით, რის შემდგომაც პოტენციურ ბენეფიციარს აქვს უფლება, გამოასწოროს ხარვეზი და ხელმეორედ მიმართოს სააგენტოს დაფინანსების მიღებაზე, ამისთვის მან ხელმეორედ უნდა წარადგინოს სააგენტოში განაცხადი და მე-11 მუხლში მითითებული დოკუმენტაცია.

8. სააგენტოს მიერ განაცხადის განხილვის და დაფინანსების გაცემის რიგითობა განისაზღვრება პოტენციური ბენეფიციარების მიერ მე-11 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის სააგენტოში წარდგენის თარიღით. დოკუმენტაციაში ხარვეზის

გასწორების შემთხვევაში, თარიღად ითვლება „უხარვეზო“ დოკუმენტაციის წარდგენის თარიღი.

9. დაფინანსების გაცემის დეტალურ პროცედურას შეიმუშავებს და ამტკიცებს სააგენტო.

მუხლი 13. მონიტორინგი

1. ბენეფიციარის მიერ განაცხადით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების საველე და დოკუმენტურ მონიტორინგს განახორციელებს სააგენტო.

2. საველე და დოკუმენტურ მონიტორინგს დაექვემდებარება ყველა დაკმაყოფილებული განაცხადი.

3. დოკუმენტური მონიტორინგი განხორციელდება ბენეფიციარის მიერ სააგენტოში ბენეფიციარსა და სააგენტოს შორის გაფორმებული თანადაფინანსების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენით.

4. ბენეფიციარის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის შემდგომ, ბენეფიციარი ვალდებულია, წარადგინოს ბანკის მიერ დამოწმებული საგადახდო დავალება წარდგენილი ინვოისით/ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბანკო ანგარიშ(ებ)ზე თანხის გადარიცხვის დამადასტურებლად.

5. საველე მონიტორინგი განხორციელდება ნერგების დარგვისა და წვეთოვანი სარწყავი სისტემის დამონტაჟების შემდგომ.

6. პირველი სავეგეტაციო პერიოდის დასრულებამდე, სააგენტო პერიოდულად განახორციელებს საველე მონიტორინგს.

7. საველე მონიტორინგის მეთოდოლოგიას შეიმუშავებს სააგენტო ცენტრთან ერთად.

8. საველე და დოკუმენტური მონიტორინგის დეტალურ პროცედურას შეიმუშავებს და ამტკიცებს სააგენტო.

მუხლი 14. ბენეფიციარების მიერ მიზნობრიობის შეუსრულებლობა

ბენეფიციარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ნაწილობრივ ან/და საერთოდ არშესრულების შემთხვევებისათვის, სააგენტო დამატებით შეიმუშავებს და დაამტკიცებს ჯარიმების სისტემას.

მუხლი 15. სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტი

1. სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტი (შემდგომში - სანერგეების კომპონენტი) ითვალისწინებს სანერგე მეურნეობების შექმნის მსურველი პოტენციური ბენეფიციარებისათვის ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას.

2. სანერგეების კომპონენტის ფარგლებში, შესაძლებელია, განხორციელდეს მრავალწლიანი კულტურების სანერგეების შექმნის თანადაფინანსება საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში, შემდეგი თვითმმართველი ქალაქების გარდა: ქ. თბილისი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი, ქ. ბათუმი, ქ. ფოთი.

მუხლი 16. ფინანსური დახმარება

1. სანერგეების კომპონენტის ფარგლებში, ფინანსური დახმარება ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას თანადაფინანსების სახით, სანერგე მეურნეობის მოსაწყობად.

2. თანადაფინანსება განხორციელდება პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილი დეტალური პროექტის საფუძველზე, რომელიც უნდა მოიცავდეს:

ა) უვირუსო სადედე ნერგების, ინტენსიური ტიპის უვირუსო საძირების, პორტატული ლაბორატორიული მოწყობილობების, თანამედროვე ტიპის სარწყავი სისტემების შექმნის წყაროებს და განფასებას;

ბ) სანერგე მეურნეობის გაშენების დროში გაწერილ დეტალურ გეგმას;

გ) სანერგე მეურნეობის ოპერირებაში ჩართული საკვანძო პირების ჩამონათვალს, მათი სამუშაო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მითითებით;

დ) სანერგე მეურნეობის დაფინანსების ჯამურ ბიუჯეტს;

ე) სანერგე მეურნეობის შექმნის დაფინანსების წყაროს და მის დამადასტურებელ დოკუმენტაციას;

ვ) სანერგე მეურნეობისათვის აუცილებელი საბრუნავი საშუალებების მოცულობას და უზრუნველყოფის გეგმას;

ზ) თითოეული ნერგის თვითღირებულების კალკულაციას;

თ) ნერგების გაყიდვების გეგმას;

ი) სანერგე მეურნეობის დაგეგმილ წარმადობას ნერგების სახეობების მიხედვით, 5-წლიანი საპროგნოზო პერიოდით.

3. სააგენტო ცენტრთან ერთობლივად შეიმუშავებს პროექტის შედგენის სახელმძღვანელოს/კითხვარს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბენეფიციარებისათვის, რათა მოხდეს წარდგენილი პროექტების სტანდარტიზაცია.

4. თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს პროექტის ჯამური ღირებულების არა უმეტეს 50%-ს. მიწის ღირებულება, მიწის მოსამზადებელი სამუშაოები და მიწის ნაკვეთის შემოღობვის ღირებულების გათვალისწინება პროექტის ჯამურ ღირებულებაში არ განხორციელდება. სანერგე მეურნეობის შექმნის პროექტის ღირებულების დარჩენილი ნაწილის დაფინანსება შესაძლებელია, განხორციელდეს როგორც საკუთარი სახსრებით, ასევე საბანკო კრედიტით.

5. სანერგე მეურნეობის თანადაფინანსების კომპონენტით დაფინანსდებიან მხოლოდ ის ბენეფიციარები, რომლებიც შექმნიან ისეთ სანერგე მეურნეობებს, სადაც იწარმოება დანართი №5-ით გათვალისწინებული კულტურები. (26.08.2015 N 444)

მუხლი 17. შეზღუდვები

1. ერთ ბენეფიციარზე გამოყოფილი დაფინანსების მაქსიმალური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 150 000 ლარს.

2. სანერგეების კომპონენტის ფარგლებში, გამოყოფილი თანადაფინანსების სახსრების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი მიზნობრიობით:

ა) უვირუსო სადედე ნერგების შექმნა;

ბ) ინტენსიური ტიპის უვირუსო საძირების შექმნა;

გ) პორტატული ლაბორატორიული მოწყობილობების შექმნა;

დ) თანამედროვე ტიპის სარწყავი სისტემების მოწყობა.

მუხლი 18. ტექნიკური დახმარება

1. სანერგე მეურნეობის მოვლისათვის აუცილებელი ცოდნით აღჭურვის მიზნით, იმ ბენეფიციარებს, რომლებიც მიიღებენ ფინანსურ დახმარებას, ჩაუტარდებათ ტრენინგები შემდეგ საკითხებში:

- ა) სარგავი მასალის გამრავლების ტექნოლოგიები;
- ბ) სარგავი მასალის სერტიფიცირების პრინციპები.

2. ტრენინგებში მონაწილეობის მიღება წარმოადგენს ბენეფიციარის ვალდებულებას და აისახება ბენეფიციართან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში.

მუხლი 19. სანერგეების კომპონენტის ბენეფიციარი

1. სანერგეების კომპონენტის მიზნობრივ ბენეფიციარებს წარმოადგენენ სხვადასხვა ტიპის სანერგე მეურნეობის შექმნით დაინტერესებული პირები.

2. ბენეფიციარი შეიძლება იყოს საქართველოში დაფუძნებული საწარმო ან ინდივიდუალური მეწარმე.

3. სანერგეების კომპონენტის ბენეფიციარი არ შეიძლება იყოს ისეთი საწარმო, რომელშიც პირდაპირ ან ირიბად სახელმწიფო ფლობს წილს, პაის, აქციებს.

მუხლი 20. შესაბამისობის კრიტერიუმები

1. სანერგეების კომპონენტით გათვალისწინებული ფინანსური და ტექნიკური დახმარების მისაღებად:

ა) ბენეფიციარს არ უნდა გააჩნდეს დავალიანება სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიმართ;

ბ) ბენეფიციარი უნდა ფლობდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ერთი საკადასტრო კოდით მის საკუთრებად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, ან მას მიღებული უნდა ჰქონდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გრძელვადიანი იჯარით სახელმწიფოსაგან (იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 10 წელს, იჯარის ხელშეკრულება უნდა იყოს რეგისტრირებული სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული მოთხოვნა სახელმწიფოსთან საიჯარო ურთიერთობაზე არ მოქმედებს, თუ საქართველოს საპატრიარქოს მიერ პროექტში მონაწილეობის შემთხვევაში, საქართველოს საპატრიარქო დააფუძნებს საწარმო(ებ)ს, რომელსაც საკუთრებაში ან გრძელვადიანი იჯარით (იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 10 წელს) გადასცემს კუთვნილ მიწის ნაკვეთს.

3. ბენეფიციარს ან ბენეფიციარის მიერ წარდგენილი პროექტით გათვალისწინებულ სანერგე მეურნეობის ოპერირებაზე პასუხისმგებელ პირს უნდა გააჩნდეს შესაბამისი კვალიფიკაცია.

4. შესაქმნელი სანერგე მეურნეობის წარმადობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 000 სხვადასხვა სახეობის ნერგს წელიწადში.

5. მიწის ნაკვეთს, სადაც იგეგმება სანერგე მეურნეობის მოწყობა, არ უნდა ედოს ყადაღა.

6. მიწის ნაკვეთი, სადაც იგეგმება სანერგე მეურნეობის შექმნა, უნდა იყოს დამუშავებული და ვარგისი სანერგე მეურნეობის მოსაწყობად. ვარგისიანობის დადგენა განხორციელდება ცენტრის მიერ წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით და დადგენილი მეთოდოლოგიით.

7. მიწის ნაკვეთი უნდა იყოს უზრუნველყოფილი პერმანენტული წყლის წყაროთი, რაც გამოიხატება მიწის ნაკვეთის გარე პერიმეტრიდან მაქსიმუმ 500 მეტრის დაშორებით ტბის, მდინარის, მდინარის არხის არსებობით ან მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე ჭის ან ჭაბურღილის არსებობით.

8. მიწის ნაკვეთი, სადაც იგეგმება სანერგე მეურნეობის მოწყობა, აუცილებელი წესით უნდა იყოს შემოღობილი ან უნდა იგეგმებოდეს მისი შემოღობვა. იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთი არ არის შემოღობილი, მისი შემოღობვა იქნება თანადაფინანსების ტრანშის გაცემის წინაპირობა.

მუხლი 21. ბენეფიციარის მიერ დაფინანსების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია

1. ბენეფიციარმა დაფინანსების მისაღებად უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) შევსებული განაცხადის ფორმა;

ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);

გ) დირექტორის/უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების არ-არსებობის შესახებ;

ე) ცენტრის მიერ გაცემული ცნობა განაცხადით გათვალისწინებული მრავალწლიანი კულტურების სანერგის მოწყობის ადგილის ნიადაგის ვარგისიანობისა და შესაბამისობის შესახებ;

ვ) მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა);

ზ) ცნობა მიწის ნაკვეთის დამუშავების შესახებ, გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს მიერ;

თ) ბენეფიციარის მიერ სააგენტოში წარდგენილი სანერგე მეურნეობის პროექტის საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებული შესყიდვების ინვოისები/გაფორმებული ხელშეკრულებები;

ი) ბენეფიციარის მიერ სააგენტოში წარდგენილი სანერგე მეურნეობის პროექტით გათვალისწინებული თანამონაწილეობის ხელმისაწვდომობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

კ) ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაციის წარდგენა ბენეფიციარის მიერ განხორციელდება განაცხადის/პროექტის დამუშავების სხვადასხვა ეტაპზე, სააგენტოს მიერ შემუშავებული დეტალური პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 22. თანადაფინანსების გაცემის პროცედურები

1. პოტენციური ბენეფიციარი სააგენტოში წარადგენს შევსებულ განაცხადს. საწყის ეტაპზე განაცხადის წარდგენა მოხდება წერილობითი ფორმით. სააგენტოს მიერ შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის შემდგომ, განაცხადის წარდგენა განხორციელდება ელექტრონული ფორმით.

2. სააგენტო განახორციელებს წარდგენილი განაცხადის შემოწმებას სანერგების კომპონენტით დადგენილ პირობებთან შესაბამისობაზე.

3. შესაბამისობის შემთხვევაში, მოხდება განაცხადის დაშვება განხილვის შემდგომ ეტაპზე.

4. წინასწარი განხილვის შემდგომ, პოტენციური ბენეფიციარი ვალდებულია, წარადგინოს სააგენტოში სანერგე მეურნეობის შექმნის დეტალური წერილობითი პროექტი, თანმდევ დოკუმენტაციასთან ერთად.

5. წარდგენილ პროექტს თანმდევ დოკუმენტაციასთან ერთად განიხილავს სააგენტოში შექმნილი სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაშიც იქნება ცენტრის წარმომადგენელი.

6. კომისია ამზადებს დასკვნას წარდგენილ პროექტთან დაკავშირებით და გადასცემს სააგენტოს მიერ შექმნილ „თანადაფინანსების კომიტეტს“ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

7. „თანადაფინანსების კომიტეტი“ იღებს გადაწყვეტილებას პროექტის დამტკიცების/უარყოფის შესახებ, ამავდროულად „თანადაფინანსების კომიტეტი“ განსაზღვრავს ყოველწლიურად საწარმოებელი ნერგების რაოდენობის მინიმალურ მოცულობას.

8. „თანადაფინანსების კომიტეტის“ მიერ პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, სააგენტო განსაზღვრავს ბენეფიციარის დაფინანსების დეტალურ პირობებს (ტრანშების მოცულობას, თითოეული ტრანშის მიზნობრიობას, თითოეული ტრანშის გაცემის წინაპირობებსა და გაცემის პერიოდულობას) და ბენეფიციართან აფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას.

9. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ სააგენტო უზრუნველყოფს ბენეფიციარის დაფინანსებას გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მუხლი 23. მონიტორინგი

1. ბენეფიციარის მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების საველე და დოკუმენტურ მონიტორინგს განახორციელებს სააგენტო.

2. საველე და დოკუმენტურ მონიტორინგს დაექვემდებარება ყველა დაკმაყოფილებული განაცხადი.

3. დოკუმენტური მონიტორინგი განხორციელდება ბენეფიციარის მიერ სააგენტოში ბენეფიციარსა და სააგენტოს შორის გაფორმებული თანადაფინანსების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენით.

4. ბენეფიციარის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის შემდგომ, ბენეფიციარი ვალდებულია, წარადგინოს ბანკის მიერ დამოწმებული საგადახდო დავალება წარდგენილი ინვოისით/ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბანკო ანგარიშ(ებ)ზე თანხის გადარიცხვის დამადასტურებლად.

5. საველე მონიტორინგი განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანერგე მეურნეობის მოწყობის, ლაბორატორიული მოწყობილობებისა და წვეთოვანი სარწყავი სისტემის დამონტაჟების შემდგომ ან სანერგე მეურნეობის მოწყობის პროცესში.

6. საველე მონიტორინგის მეთოდოლოგიას შეიმუშავებს სააგენტო ცენტრთან ერთად.

7. საველე და დოკუმენტური მონიტორინგის დეტალურ პროცედურას შეიმუშავებს და ამტკიცებს სააგენტო.

მუხლი 24. ბენეფიციარების დამატებითი ვალდებულებები და ბენეფიციარის მიერ მიზნობრიობის შეუსრულებლობა

1. ბენეფიციარის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ნაწილობრივ ან/და საერთოდ არშესრულების შემთხვევებისათვის, სააგენტო დამატებით შეიმუშავებს და დაამტკიცებს ჯარიმების სისტემას.

2. ბენეფიციარი ვალდებულია, შეუნარჩუნოს დაფინანსებულ მეურნეობას სანერგე მეურნეობის პროფილი.

3. პროფილის შენარჩუნებისათვის ბენეფიციარი ვალდებულია, სანერგე მეურნეობის შექმნიდან 2 წლის განმავლობაში აწარმოოს სხვადასხვა კულტურების ნერგები არანაკლებ „თანადაფინანსების კომიტეტის“ მიერ დადგენილი რაოდენობისა.

მუხლი 25. უფლებამოსილებათა განაწილება პროგრამის განხორციელებისთვის

1. პროგრამის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელიც უზრუნველყოფს მის სისტემაში შემავალი, ამ პროგრამის მონაწილე სააგენტოს და ცენტრის მიერ ამ პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების ზედამხედველობას.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები მონაწილეობენ ამ პროგრამის საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობაში. აწვდიან ბენეფიციარებს საჭირო ინფორმაციას მათ მიერ სააგენტოში წარსადგენ დოკუმენტაციასა და სხვა საკითხებზე. ამოწმებენ პოტენციური ბენეფიციარის კუთვნილი მიწის ნაკვეთების ბაღის (სანერგის) გასაშენებლად მზაობას და გასცემენ შესაბამის ცნობას.

3. ცენტრი ამოწმებს ბენეფიციარის მიერ ბაღის გასაშენებლად შერჩეული მიწის ნაკვეთის ლაბორატორიული ანალიზის შედეგებს და გასცემს ცნობას მიწის ნაკვეთის დაგეგმილი მრავალწლიანი კულტურების გაშენებისათვის ვარგისიანობის შესახებ, ან წერილობით იძლევა უარყოფით პასუხს. ასევე, ადგენს კვალიფიციური სანერგეების ნუსხას მიღებული განაცხადების დამუშავების შედეგად.

4. სააგენტო არის პროგრამის ძირითადი განმახორციელებელი. იგი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, იბარებს ბენეფიციარებისაგან დოკუმენტაციას, აფორმებს ხელშეკრულებებს ბენეფიციარებთან, აფინანსებს სანერგე მასალების და სარწყავი წვეთოვანი სისტემის შესყიდვას, ახდენს თანადაფინანსების თანხების გადარიცხვას, ახორციელებს ბენეფიციარების მიერ შესრულებული სამუშაოების მონიტორინგს.

მუხლი 26. ინტერესთა კონფლიქტი (26.08.2015 N 444)

1. იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ბენეფიციარი ფიზიკური პირია, ის ვერ მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ თანადაფინანსებას, თუ ფლობს წილს ნერგების

ან/და წვეთოვანი სარწყავი სისტემების მიმწოდებელ იმ კომპანიაში, რომლისგანაც გეგმავს ნერგების ან/და წვეთოვანი სისტემების შეძენას.

2. იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ბენეფიციარი იურიდიული პირია, ის ვერ მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ თანადაფინანსებას, თუ ფლობს წილს ნერგების, წვეთოვანი სარწყავი სისტემების, უვირუსო სადედე ნერგების, ინტენსიური ტიპის უვირუსო საძირეებისა და პორტატული ლაბორატორიული მოწყობილობების მიმწოდებელ იმ კომპანიაში, რომლისგანაც გეგმავს ნერგების, წვეთოვანი სარწყავი სისტემების, უვირუსო სადედე ნერგების, ინტენსიური ტიპის უვირუსო საძირეებისა და პორტატული ლაბორატორიული მოწყობილობების შეძენას.

3. თუ პოტენციური ბენეფიციარი არის იურიდიული პირი და მის პარტნიორს აქვს წილი ნერგების, წვეთოვანი სისტემების, უვირუსო სადედე ნერგების, ინტენსიური ტიპის უვირუსო საძირეებისა და პორტატული ლაბორატორიული მოწყობილობების მიმწოდებელ კომპანიაში, რომლიდანაც გეგმავს ნერგების, წვეთოვანი სარწყავი სისტემის, უვირუსო სადედე ნერგების, ინტენსიური ტიპის უვირუსო საძირეების, პორტატული ლაბორატორიული მოწყობილობების შეძენას, ვერ მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ თანადაფინანსებას.

4. წინამდებარე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი ვრცელდება მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებულ მიმწოდებელ კომპანიებზე.

5. იმ შემთხვევაში:

ა) თუ ფიზიკურ პირს პროგრამის ფარგლებში მიღებული აქვს თანადაფინანსება, ამ ფიზიკური პირის პარტნიორობით არსებული იურიდიული პირი მიიღებს თანადაფინანსებას ფიზიკური პირის მიერ პროგრამის შესაბამისი კომპონენტით მიღებული თანადაფინანსების დარჩენილი ოდენობის ფარგლებში;

ბ) თუ იურიდიულ პირს პროგრამის ფარგლებში მიღებული აქვს თანადაფინანსება:

ბ.ა) მისი პარტნიორი, როგორც ფიზიკური პირი, მიიღებს თანადაფინანსებას იურიდიული პირის მიერ პროგრამის შესაბამისი კომპონენტით მიღებული თანადაფინანსების დარჩენილი ოდენობის ფარგლებში;

ბ.ბ) მისი პარტნიორის მონაწილეობით არსებული სხვა იურიდიული პირი მიიღებს თანადაფინანსებას იურიდიული პირის მიერ პროგრამის შესაბამისი კომპონენტით მიღებული თანადაფინანსების დარჩენილი ოდენობის ფარგლებში.

6. ეს მუხლი ვრცელდება პროგრამით გათვალისწინებულ ორივე კომპონენტზე.

დანართი №1. მრავალწლიანი კულტურების ნუსხა რეგიონების მიხედვით (26.08.2015 N 444)

რეგიონი	მრავალწლიანი კულტურები				
	კურკოვანი	კენკოვანი	სუბტროპიკული	კაკლოვანი	თესლოვანი
კახეთი	ატამი, ქლიავი, ტყემალი ბალი, ზეთის ხილი ალუბალი გარგარი	ჟოლო მაყვალი (უეკლო ან მსხვილნაყოფა)	ხურმა, ბროწეული კივი	კაკალი, ნუში (ორივე გვიანმოყვავილე), თხილი	ვაშლი მსხალი
შიდა ქართლი	ატამი, ქლიავი,	მოცხარი, ხურტკმელი,	-	კაკალი ნუში	ვაშლი მსხალი

	ტყემალი, ბალი გარგარი შინდი ალუბალი	ჟოლო			
ქვემო ქართლი	ატამი, ქლიავი, ტყემალი, ბალი, გარგარი ალუბალი	მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო	ხურმა, ბროწეული	კაკალი, ნუში (ორივე გვიანმოყვავილე)	მსხალი ვაშლი
მცხეთა მთიანეთი	ატამი, ქლიავი, ტყემალი, ბალი ალუბალი	მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო	-	კაკალი ნუში	ვაშლი მსხალი
სამცხე ჯავახეთი	ატამი, ქლიავი, ტყემალი, ბალი ალუბალი	მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო	-	კაკალი	ვაშლი მსხალი
იმერეთი	ქლიავი, ტყემალი ბალი ალუბალი	მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო ლურჯი მოცვი მაყვალი (უეკლო ან მსხვილნაყოფა)	ხურმა	კაკალი, თხილი	ვაშლი მსხალი
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ქლიავი, ტყემალი, ბალი ალუბალი	-	ხურმა	კაკალი, თხილი	ვაშლი მსხალი
სამეგრელო - ზემო სვანეთი	ქლიავი, ტყემალი ალუბალი ბალი	ლურჯი მოცვი	ხურმა, კივი, ფეიხოა მანდარინი ფორთოხალი ლიმონი	თხილი კაკალი	მსხალი ვაშლი
გურია	ქლიავი, ტყემალი, ბალი ალუბალი	ლურჯი მოცვი მაყვალი (უეკლო ან მსხვილნაყოფა) ჟოლო	ხურმა, კივი, ფეიხოა მანდარინი ფორთოხალი ლიმონი	თხილი	ვაშლი მსხალი
აჭარა	ქლიავი, ტყემალი, ბალი ალუბალი	ლურჯი მოცვი	ხურმა, კივი, ფეიხოა მანდარინი ფორთოხალი ლიმონი	თხილი კაკალი	ვაშლი მსხალი

დანართი №2. თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობის ცხრილი კულტურების მიხედვით: (26.08.2015 N 444)

კულტურის დასახელება	თანადაფინანსების მაქსიმალური ოდენობა ადგილზე შექმნილ ერთ ნერგზე (ლარში)	თანადაფინანსების მაქსიმალური ოდენობა იმპორტირებულ ერთ ნერგზე (ლარში)
---------------------	---	--

კურკოვანი კულტურები		
ატამი	3.5	4.2
ქლიავი	3.5	4.2
ბალი	3.5	4.2
ალუბალი	2.8	3.36
გარგარი	3.5	4.2
ტყემალი	3.5	4.2
შინდი	3.5	4.2
ზეთის ხილი	5.6	6.72
კენკროვანი კულტურები		
მოცხარი	2.10	2.52
ხურტკმელი	2.10	2.52
ჟოლო	1.05	1.26
მაყვალი (უეკლო ან მსხვილნაყოფა)	2.1	2.52
ლურჯი მოცვი	4.90	5.88
სუბტროპიკული		
კულტურები		
ხურმა	3,5	4.2
კივი	3,5	4.2
ფეიხოა	2,8	3.36
ბროწეული	2,1	2.52
ლიმონი	2,8	3.36
ფორთოხალი	2,8	3.36
მანდარინი	2,8	3.36
თესლოვანი კულტურები		
მსხალი	3.5	4.2
ვაშლი	4,2	5.04
კაკლოვანი კულტურები		
თხილი	1.05	1.26
კაკალი	10.50	12.6
ნუში	4.20	5.04

დანართი №3 - ამოღებულია (26.08.2015 N 444)

დანართი №4. ნერგების 1 ჰა-ზე დასარგავი მინიმალური რაოდენობა მრავალწლიანი კულტურების მიხედვით (მცენარეების დასაშვები მინიმალური სიხშირე 1 ჰა-ზე ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური ტიპის ბაღების გაშენების მიზნით) (26.08.2015 N 444)

მრავალწლოვანი კულტურები	ნერგების მინიმალური რაოდენობა - 1 ჰა	ნარგაობის ტიპი	სარეკომენდაციო კვების არე, მეტრი
კურკოვნები			
ატამი	500	ნახევრად ინტენსიური	5 X 4, 5 X 3,
ქლიავი	660	ნახევრად ინტენსიური	5 X 4, 5 X 3,
ბალი	660	ნახევრად ინტენსიური	5 X 4, 5 X 3,
ტყემალი	500	ნახევრად ინტენსიური	5 X 4, 5 X 3,
გარგარი	400	ნახევრად ინტენსიური	5 X 4, 5 X 3
ზეთის ხილი	500	ნახევრად ინტენსიური	6 X 3, 5 X 3,
ალუბალი	350	ნახევრად ინტენსიური	6,0X 4,0, 7,0 X4,0, 5,0 X4,0
შინდი	350	ნახევრად ინტენსიური	6,0X4,0, 7,0X4,0

თესლოვნები			
ვაშლი MM106	660	ნახევრად ინტენსიური	5 X 3, 5 X 2.5
ვაშლი M9	1 660	ინტენსიური	4,0-3,6 X 1, 5 - 1,0
მსხალი	600	ნახევრად ინტენსიური	5,0X3,5X3,3 საშუალო სადირე 4,0X2,0; 4,0X1,5 4,0X 1,25- ნაგალა (სუსტი სადირე)
სუბტროპიკული			
ხურმა	400	ნახევრად ინტენსიური	6 X 4, 5 X 4,
ბროწეული	500	ნახევრად ინტენსიური	5 X 4, 5 X 3,
კივი	400	ინტენსიური	4 X 4,
ფეიხოა	500	ინტენსიური	5 X 4, 5 X 3,
ლიმონი	800	ინტენსიური	4,0X2,0 4,0X2,5, 4,0X 3,0
ფორთოხალი	500	ინტენსიური	6,0X4,0, 5,0X4,0, 5,0X3,0
მანდარინი	500	ინტენსიური	5,0X4,0, 5,0X3,0, 4,0X2,50, 4,0 X2,0
კაკლოვანი			
კაკალი	220	ინტენსიური	8 X 5, 8 X 6, 7 X 5
თხილი	500	ინტენსიური	5 X 4, 5 X 3, 5 X 2
ნუში	400	ინტენსიური	6 X 4, 5 X 4,
კენკროვანი			
ლურჯი მოცვი	3 000	ინტენსიური	3,0-2,0 X 1,0 - 1,2
მოცხარი	2100	ინტენსიური	3,0-2,0 X 1,0 - 1,2
მაყვალი (უეკლო ან მსხვილნაყოფა)	2 500	ინტენსიური	3,0 X1,30 , 2,5X1,30
ხურტკმელი	2100	ინტენსიური	3,0-2,0 X 1,0 - 1,2
ჟოლო	4700	ინტენსიური	3,0-2,0 X 0,5 - 0,7

დანართი №5. მრავალწლიანი კულტურების ნუსხა (26.08.2015 N 444)

მრავალწლიანი კულტურები				
კურკოვანი	კენკროვნები	სუბტროპიკული	კაკლოვანი	თესლოვანი
ატამი ქლიავი ტყემალი ბალი ზეთის ხილი ალუბალი გარგარი შინდი	ჟოლო მაყვალი(უეკლო ან მსხვილნაყოფა) მოცხარი ხურტკმელი ლურჯი მოცვი	ხურმა, ბროწეული კივი ფეიხოა მანდარინი ფორთოხალი ლიმონი	კაკალი ნუში (ორივე გვიანმოყვავილე) თხილი	ვაშლი მსხალი